საქართველოს კანონი პროექტი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7^1 მუხლი:
,,მუხლი 7^1. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წლის დაწყება
1.საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი იწყება 15 სექტემბერს. თუ 15 სექტემბერი დასვენების ან უქმე დღეა სწავლა იწყება შემდგომ პირველ სამუშაო დღეს.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული სასწავლო წლის დაწყების თარიღი (ყველა ან კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის) შემდეგ შემთხვევებში:
ა) ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სკოლაში პილოტირების განხორციელებისას.
ბ) სკოლებში ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას (ეკოლოგიური კატასტროფა ან/და ეპიდემია, მასობრივი არეულობა და სხვა), აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას.
გ) კერძო სკოლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე”.
2. 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ც) ადგენს საჯარო სკოლებში წლის განმავლობაში სასწავლო დღეების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს, არდადეგების მინიმალურ და მაქსიმალურ ხანგრძლივობას; აგრეთვე უფლებამოსილია დაადგინოს სასწავლო წლის დამთავრების და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა; განსაზღვრავს გამონაკლის შემთხვევებს“;
მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.
მუხლი 3. კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**